ოქმი:**ო05. 3725357001**

თარიღი:**23/12/2025**

ოქმი N 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 22 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14:00 საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. კილაძე, ქ. ხომერიკი, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, მ. ცქვიტინიძე, ტ. აროშიძე, ქ. კვაჭანტირაძე, გ. სირაძე, გ. მდინარაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენელი გია ჩაგანავა.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დმტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: გია ჩაგნავა

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პესონალური მონაცემების

დაცვის პოლიტიკა“

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: ია დოლიძე

3.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე. აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვერსია აკმაყოფილებს შესაბამისი მიმართულების სამართლებრივ ნორმებს, ასევე პროექტში გათვალისწინებულია კომისიის მიერ აღნიშნული ფინანსები, დოკუმენტის პირველ ვერსიასთან მიმართებით

გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი. მომხსენებელმა გ.ჩაგანავამ კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 43070,0 ათასი ლარით, რაც 2025 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4670,0 ათ.ლარით. ასევე გ. ჩაგანავამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე არ დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა საკრებულოს აპარატის მიერ ინიცირებული პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ შესახებ, რომელიც შედგენილია მეთოდურად და გამართულად, აკმაყოფილებს დოკუმენტის შედგენის ყველა კრიტერიუმს და მოთხოვნებს.

მ. ჩხიკვიშვილმა ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე. კომისიის წევრებმა სხდომაზე წარმოდგენილი საკითხების შესახებ იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და პირველი საკითხი, მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას.

მეორე საკითხი წარედგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი პროცედურების განსაზრვრის მიზნით.

მესამე საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი